საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-02/153

ქ. ბათუმი 09 დეკემბერი, 2020 წ.

2020-2021 სასწავლო წლისათვის ავთანდილ ბარათაშვილის სახელობის სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, ბსუ–ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 07 ნოემბრის №01 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს სტუდენტთათვის ავთანდილ ბარათაშვილის სახელობის სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 07 ნოემბრის №02 გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ს საბაკალავრო, მედიცინის მიმართულებით ერთსაფეხურიანი, დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო - სამაგისტრო და ასევე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის ავთანდილ ბარათაშვილის სახელობის სტიპენდიის (8 პირი) მოსაპოვებლად.
2. კონკურსში მონაწილეობის მიზნით კონკურსანტებმა 2020 წლის 09 დეკემბრიდან 18 დეკემბრის ჩათვლით, ბსუ-ს სტუდენტური პორტალის საშუალებით (წერილი კანცელარიას, რექტორის სახელზე) უნდა წარმოადგინონ:

ა) საკონკურსო დოკუმენტაცია (წინამდებარე ბრძანების დანართი 1-ის შესაბამისად);

ბ) სტუდენტის განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ (დანართი 2-ის შესაბამისად შედგენილი);

გ) სტუდენტის ავტობიოგრაფია (CV) (დანართი 3-ის შესაბამისად შედგენილი);

დ) სოციალურად დაუცველ პირთა ერთიან ბაზაში სტუდენტის რეგისტრაციის დამადასტურებელი ცნობა (გაცემული უფლებამოსილი სამსახურის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით, საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადის ამოწურვამდე 2 თვის ვადაში);

ე) სტუდენტის პირადობის მოწმობის ასლი;

ვ) ცნობა სტუდენტის სტატუსისა და აკადემიური მოსწრების შესახებ („საშუალო შეწონილი" ფორმულით კონკურსის გამოცხადებამდე, წინა სემესტრებში, მიღებული 71 ქულის და მეტის მითითებით);

ზ) არანაკლებ ერთი რეკომენდაცია, ბსუ-ს იმ აკადემიური თანამდებობის პირისაგან, რომელიც კარგად იცნობს სტუდენტის აკადემიურ აქტივობას;

თ) სტუდენტის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომის/პულიკაციის დედანი ან დამოწმებულ ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ი) სამეცნიერო ღონისძიებაში (კონფერენცია, სემინარი, სიმპოზიუმი და სხვ.) მონაწილეობის დამადასტურებელი დიპლომის, სიგელის, სერტიფიკატის და სხვ. დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2. საკონკურსო კომისიის მიერ საკონკურსო დოკუმენტაცია არ განიხილება (კონკურსანტი არ შეფასდება და მოიხსება კონკურსიდან) შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუკი კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულყოფილია;

ბ) თუკი კონკურსანტის წარმოდგენილი დოკუმენტი არ არის შესაბამისი ფორმის დაცვით შედგენილი (ხელმოწერა, ბეჭედი, ნოტარიული დამოწმება და ა.შ.)

გ) სოციალურად დაუცველ პირთა ერთიან ბაზაში კონკურსანტის რეგისტრაციის დამადასტურებელი ცნობა არ არის გაცემული საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადის ამოწურვამდე 2 თვის ვადაში;

დ) კონკურსანტს შეჩერებული/შეწყვეტილი აქვს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი;

ე) კონკურსანტი აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტია ან შესრულებული აქვს შესაბამისი საგანმანთლებლო პროგრამების მოთხოვნები (მინიჭებული აქვს კვალიფიკაცია).

3. კონკურსი ჩატარდეს 2020 წლის 21 დეკემბრიდან 23 დეკემბრის ჩათვლით.
4. კონკურსში გამარჯვებულ სტუდენტებს სტიპენდია დაენიშნოთ არაუგვიანეს 2020 წლის 25 დეკემბრისა.
5. დაევალოს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების შესახებ ბსუ-ს სტუდენტების სტუდენტური პორტალის მეშვეობით ინფორმირება.
6. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად ჩაბარდეს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს და განთავსდეს საინფორმაციო დაფებსა და ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში ,,კონკურსები'', ,,ფაკულტეტის სიახლეები'').
8. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**